დანართი №5

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებატა ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი და კვოტები

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს შესაბამისი პროგრამული მიმართულების სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი.
2. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი პროგრამული მიმართულების პროფესორთა კრებაზე ღია კენჭისყრით. პროფესორთა კრება ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით. კანდიდატების დასახელება ხდება კრებაზე. პროგრამული მიმართულების თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი კანდიდატურის, ასევე სხვა კანდიდატურების დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.
3. წინამდებარე დანართის მე-2 პუქტით განსაზღვრული ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებში მონაწილე უფლებამოსილ პირთა არჩევანის უფლება შესაძლებელია გამოხატული იქნას, როგორც ღია კენჭისყრის, ისე მათ შორის მიღწეული კონსენსუსით, რაც დგინდება პროფესორთა კრების მიერ.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
5. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.
6. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 35 წევრით, მათ შორის: დეკანი, პროგრამული მიმართულებებიდან არჩეული 24 აკადემიური პერსონალი (მიმართულებიდან 4 წევრი), სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი - 7 წევრი.
7. ფაკულტეტის საბჭოში ყველა მიმართულებას ჰყავს 4 წარმომადგენელი, ხოლო იმ მიმართულებებს, რომლებშიც 10-ზე მეტი პროფესორია გაერთიანებული, ყოველ 10 წევრზე ერთი წევრით მეტი.